

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. წერეთელი, ნ. მახარაშვილი,  
ი. წერეთელი

სამთო მანქანების  
ელექტრული ამძრავი

მეთოდური მითითებები პრაქტიკული სამუშაოებისა  
და საკურსო პროექტირების შესასრულებლად  
დაპროგრამების სისტემა **MATLAB**-ში



რეკომენდებულია საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს  
მიერ. 06.06.2014, ოქმი №2

თბილისი

2014

წარმოდგენილი მეთოდური მითითებების დანიშნულებაა, დაეხმაროს სტუდენტს პრაქტიკული სამუშაოებისა და საკურსო დაპროექტების შესრულებლად სამთო მანქანების ელექტრულ ამძრავში, დაპროგრამების სისტემა MAT-LAB-ის გამოყენებით. განხილულია მუდმივი და ცვლადი დენის ძრავების მექანიკური მახასიათებლების აგება ძრავას ორივე სახის სამუშაო რეჟიმში. საკურსო დაპროექტება ითვალისწინებს სამთო მანქანების, კერძოდ საშახტო ჯალამბრისა და ქანქარასებრი კიდული ბაგირების ამუშავების პროცესის გაანგარიშებას საწვეი ბაგირის სიხისტის კოეფიციენტის გათვალისწინებით. მოკლედია წარმოდგენილი თეორიული მასალა, რომელიც აუცილებელია პრაქტიკული და საკურსო სამუშაოების შესასრულებლად.

განკუთვნილია სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის, სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის.

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი, მ. ონიანი,

სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის  
საკონსტრუქტურო კვლევების და  
პროექტირების სამეცნიერო ცენტრის  
უფროსი, აკადემიური დოქტორი  
გ. ჯავახიშვილი

© საბავშვო-მეცნიერო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2014  
ISBN 978-9941-20-480-7  
[http:// www.gtu.ge/publishinghouse/](http://www.gtu.ge/publishinghouse/)

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## პრაქტიკული და საკურსო სამუშაოები

სამთო მანქანების ელექტრული ამძრავის პრაქტიკულ მეცადინეობებზე შეისწავლება მუდმივი და ცვლადი დენის ძრავების მექანიკური მახასიათებლების აგების ხერხები. წარმოდგენილი მეთოდით სტუდენტი შეძლებს დამოუკიდებლად გაიანგარიშოს და ააგოს მუდმივი დენის დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები როგორც ძრავულ, ისე სამუხრუჭო რეჟიმებში; ასევე, სამფაზა ცვლადი დენის ასინქრონული ფაზურ-როტორიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები ააგოს ამძრავის ამუშავების დროს.

წარმოდგენილი მეთოდით სტუდენტი აგრეთვე გაიანგარიშებს ორბოლოიანი საშახტო ჯალამბრის ამუშავების პერიოდს, საწვეი ბაგირის სიხისტის კოეფიციენტის გათვალისწინებით. მოცემული მწარმოებლურობის, გამონამუშევრის დახრის კუთხისა და სიგრძის მიხედვით შეირჩევა ჯალამბარი და ამძრავი ძრავა. გაიანგარიშება ამუშავების ამსახველ განტოლებათა სისტემაში შემავალი პარამეტრები, აიგება ჯალამბრის დოლის და ჭურჭლის აჩქარებისა და სინქარის გრაფიკები. მათი საშუალებით სტუდენტი გაანალიზებს ამუშავების პროცესზე რა გავლენას ახდენს ამწვეი ბაგირის სიხისტის კოეფიციენტი.

დაწვრილებითაა განხილული ქანქარასებრი, ორ- და ერთფაგონიანი კიდული ბაგირგზის ამუშავების დინამიკუ-


რი რეჟიმი. ბაგირგზის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების შემდეგ, ამუშავების აღმწერი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოხსნით, გარდამავალი რეჟიმის აღმწერი მრუდები აიგება სხვადასხვა შემთხვევებისათვის; კერძოდ, როდესაც სამგზავრო ვაგონები ცარიელია, ორივე დატვირთულია და როდესაც ერთ-ერთი დატვირთულია.

პრაქტიკული უნარის გამომუშავებისათვის, მეთოდურ მითითებებში მოყვანილია საილუსტრაციო მაგალითები, რომელთა საშუალებით სტუდენტი ასრულებს ინდივიდუალურ დავალებას.

შრომატევადი მათემატიკური გამოთვლების თავიდან აცილების მიზნით, ყველა დავალება გაანგარიშებულია დაპროგრამების სისტემა MATLAB-ში.

# 1. მუდმივი დენის დამოუკიდებელ-აგზნებიანი პრავას მქანნიკური მახასიათებლები

მუდმივი დენის დამოუკიდებელ (პარალელურ) აგზნებიანი პრავას ქსელთან მიერთების პრინციპული სქემა მოცემულია 1.1 ნახაზზე.



ნახ. 1.1. დამოუკიდებელ აგზნებიანი მუდმივი დენის პრავას  
ჩართვის სქემა

LM აგზნების გრავნილია  $R_{LM}$  აქტიური წინაღობით;

$R_{R1}$  - აგზნების გრავნილში დენის მარეგულირებელი რეოსტატი;

M - პრავას ღუზა,  $R_0$  აქტიური წინაღობით;

$R_{R2}$  - ღუზის წრედში დენის მარეგულირებელი რეოსტატი;

ძაბვის ბალანსის განტოლებას ღუზის წრედში აქვს სახე

$$U = IR_R + E . \quad (1.1)$$

სადაც  $U$  ძაბვაა ძრავას მომჭერებზე, ვ;

$I$  - ღუზის წრედის ნომინალური დენი, ა;

$R_R$ -ღუზის წრედის სრული წინაღობა (რეოსტატით), ომი;

$E$ - ღუზაში აღძრული ემ ძალაა, ვ.

ღუზის ემ ძალა განისაზღვრება ფორმულით

$$E = \frac{pN}{2\pi a} \Phi \omega = C\omega \quad , \quad \text{ვ}, \quad (1.2)$$

სადაც  $K = \frac{pN}{2\pi a}$  ძრავას კონსტრუქციულობის კოეფიციენტი

ა და მუდმივია, თუკი ძრავა კომპენსირებულია;

$p$  - მთავარი პოლუსების რიცხვი;

$N$  - გამტარების რიცხვი;

$a$  - ღუზის გრაგნილის პარალელური გამტარების რიცხვი;

$\Phi$  - ძრავას მაგნიტური ნაკადი, ვბ;  $\omega$  - ღუზის ბრუნვის

სიჩქარე, რად/წმ;  $C = K\Phi$  - ძრავას კოეფიციენტი.

თუ  $E$ -ს მნიშვნელობას ჩავსვამთ (1.2) -დან (1.1)-ში, მივიღებთ

$$U = IR_R + K\omega = IR_R + C\omega . \quad (1.3)$$

(1.3)- დან განვსაზღვროთ  $\omega$ -ს მნიშვნელობა, მივიღებთ ე ლ ე ქ ტ რ ო მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ი ს ანალიზურ გამოსახულებას

$$\omega = \frac{U - IR_R}{K\Phi} = \frac{U - IR_R}{C} = \frac{U}{C} - \frac{R_R}{C} I. \quad (1.4)$$

მუდმივი დენის ძრავას ელექტრომაგნიტური მომენტი განისაზღვრება ფორმულით

$$M = \frac{pN}{2\pi a} K\Phi I = CI, \quad \text{ნ.მ.} \quad (1.5)$$

ძრავას ლილვზე მომენტი სიდიდით განსხვავდება ელექტრომაგნიტური მომენტისაგან, თვით ძრავაში მექანიკური და ძრავას ფოლადში თბური დანაკარგების გამო. ძრავულ რეჟიმში მომენტი ლილვზე ყოველთვის ნაკლებია ელექტრომაგნიტურზე, ხოლო გენერატორულში - მეტი. რადგანაც ეს მომენტები მხოლოდ (2...5) % -ით განსხვავდებიან ნომინალურისაგან, მიახლოებით თვლიან, რომ მომენტი ძრავას ლილვზე ელექტრომაგნიტურის ტოლია.

ღუზის დენის მნიშვნელობის (1.5)- დან (1.4)- ში ჩასმით, მივიღებთ მექანიკური მახასიათებლის გამოხატულებას

$$\omega = \frac{U}{C\beta} - \frac{R_R}{C^2} M = \omega_0 - \frac{1}{\beta} M, \quad (1.6)$$

სადაც  $\beta = \frac{C^2}{R_R}$  მექანიკური მახასიათებლის სიხისტის კოეფიციენტი, რაზეცაა დამოკიდებული თვით მახასიათებლის დახრა.

ძაბვის, მაგნიტური ნაკადისა და ღუზის წრედის ნომ-

ინალური მნიშვნელობების დროს, ბრუნვის სიჩქარეც ნომინალური იქნება

$$\omega_n = \frac{U_n - I_n R_0}{K\Phi_n}. \quad (1.7)$$

როდესაც ძრავაზე სასარგებლო დატვირთა და ენერჯიის დანაკარგები არ არსებობს, სისტემაში ღუზის დენის მნიშვნელობა ნულის ტოლია და ღუზის ბრუნვის სიჩქარე, რომელსაც ასეთ შემთხვევაში იდეალურს უწოდებენ  $\omega_0$ , დამოკიდებულია მხოლოდ ძაბვისა და მაგნიტური ნაკადის ნომინალურ მნიშვნელობებზე

$$\omega_0 = \frac{U_n}{K\Phi_n} = \frac{U_n}{C}. \quad (1.8)$$

ასეთი ბრუნვის სიჩქარის დროს, ემ ძალა და ქსელის ძაბვა ერთმანეთის ტოლია.

(1.7) და (1.8) -ის გათვალისწინებით, ელექტრომექანიკური მახასიათებელი შესაძლოა წარმოვადგინოთ შემდეგი სახით

$$\omega = \omega_0 - \frac{I_n R_0}{K\Phi} = \omega_0 - \frac{I_n R_0}{C}, \quad (1.9)$$

ხოლო მექანიკური მახასიათებელი

$$\omega = \omega_0 - \frac{R_0}{K\Phi^2} M = \omega_0 - \frac{R_0}{C^2} M. \quad (1.10)$$

იდეალურ უქმი სელის ბრუნვის სიჩქარესა და დატვირთვას



ერთვის შესაბამის ბრუნვის სიჩქარეს შორის სხვაობას  $(\omega_0 - \omega)$ , ეწოდება სტატიკური ბრუნვის სიჩქარის ვარდნა  $\Delta\omega$ .  $\Delta\omega = R_0 I_n / C$  ელექტრომექანიკური მახასიათებლისათვის, ხოლო  $\Delta\omega = R_0 M / C^2$  - მექანიკური მახასიათებლისათვის.

ამ უკანასკნელთა გათვალისწინებით, დამოუკიდებელაგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი ზოგადი სახით იქნება

$$\omega = \omega_0 - \Delta\omega. \quad (1.11)$$

რადგან ბრუნვის სიჩქარის ვარდნა ( $\Delta\omega$ ) მომენტისა და დენისა პირდაპირპროპორციულია, მექანიკური და ელექტრომექანიკური მახასიათებლები წარმოადგენს წრფეს.

იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიჩქარე, შეიძლება განისაზღვროს (1.8) -ის შეფარდებით (1.7)-თან შემდეგი ფორმულით:


$$\omega_0 = \omega_n \frac{U_n}{U_n - I_n \cdot R_0}. \quad (1.12)$$

სადაც  $U_n$ ,  $\omega_n$  და  $I_n$  შესაბამისად, ძრავას ნომინალური საპასპორტო მონაცემებია.

თუკი ცნობილი იქნება  $\omega_0$ , ნომინალური მომენტი  $M_n$  და ასევე მისი შესაბამისი ბრუნვის სიჩქარე  $\omega_n$ , ე.ი. წრფის ორი წერტილი, შესაძლებელია აიგოს ბუნებრივი

მექანიკური მახასიათებელი (ნახ. 12).

მექანიკური მახასიათებლები სამუხრუჭო რეჟიმებში.  
 ნშირად, თანამედროვე ელექტროამძრავში აუცილებელია როგორც საწარმოო მექანიზმის სწრაფად და ზუსტად გაჩერება, ისე მისი რევერსი და ტვირთის ჩაშვება. ყველა შემთხვევაში, ძრავა აუცილებლად უნდა გადავიდეს გენერატორული დამუხრუჭების რომელიმე სახის რეჟიმში, ამძრავში დაგროვილი კინეტიკური ენერგია ან ტვირთის ჩაშვებისას პოტენციური ენერგიის ნაზრდი გარდაიქმნას ელექტრულ ენერგიად და ან უკან მიაწოდოს ქსელს, ან სითბოს სახით გამოჰყოს გარემოში.



ნახ. 12. დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი

ელექტრული დამუხრუჭება სამი სახისაა: ა) ენერგიის ქსელში გადაცემა (რეკუპერაციული); ბ) დინამიკური დამუხრუჭება; გ) უკუჩართვითი დამუხრუჭება.

ა) რეკუპერაციული დამუხრუჭება დამუხრუჭების ეს

ხერხი ხორციელდება მაშინ, როცა ძრავას ბრუნვის სიჩქარე  $\omega$  მეტი აღმოჩნდება იდეალური უქმი სფლის ბრუნვის სიჩქარე  $\omega_0$ -ზე და მისი ემ ძალა  $E$  გადააჭარბებს ქსელის  $U$  ძაბვას. ამ შემთხვევაში, ძრავა გენერატორულ რეჟიმში მუშაობს ქსელის პარალელურად და აწვდის ელექტრულ ენერგიას; დენიც იცვლის მიმართულებას, რომელიც აშკარაა შემდეგი ტოლობიდან


$$I = (U - E) / R = -(E - U) / R. \quad (1.13)$$

შესაბამისად, ნიშანს შეიცვლის ძრავას მომენტიც, ანუ იგი გახდება დამამუხრუჭებელი -  $M = -|K\Phi|$ . თუკი აღვნიშნავთ სამუხრუჭო მომენტს  $M_t = -M$ , მაშინ (1.10) განტოლება  $\omega = \omega_0$ -ის გათვალისწინებით, მიიღებს სახეს

$$\omega = \frac{U}{C} + \frac{R_0}{C^2} M_t. \quad (1.14)$$

განტოლების მარჯვენა მხარის პირველი წევრი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი ამ სამუხრუჭო რეჟიმში  $M = 0$ -ის დროს გადის წერტილში, რომელიც, ისევე როგორც ძრავულ რეჟიმში, შეესაბამება იდეალური უქმი სფლის ბრუნვის სიჩქარეს. მექანიკური მახასიათებლის დახრა (სიხისტე) განისაზღვრება განტოლების მეორე წევრით  $R_0 / C^2$ , რომელიც ღუზის წრედის მოცემული წინააღობის დროს, მუდმივია. შესაბამისად, მექანიკური მახასიათებლის დახ-

რა ამ სამუხრუჭო რეჟიმში იგივეა, რაც იყო ძრავულ რეჟიმში. ამის გამო, რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში, მექანიკური მახასიათებელი წარმოადგენს ძრავული რეჟიმის მექანიკური მახასიათებლის გაგრძელებას მეორე კვადრანტში. დამუხრუჭების ეს ხერხი შესაძლებელია, მაგალითად, სატრანსპორტო და ამწე მექანიზმების ამძრავებებში ტვირთის ჩაშვებისას ან სიჩქარის რეგულირების ისეთი ხერხის დროს, როცა  $\omega > \omega_0$ . ასეთი დამუხრუჭება მეტად ეკონომიურია, რადგანაც ხასიათდება ქსელში ენერჯის მიწოდებით, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი  $\omega > \omega_0$  პირობის დაცვა.




ნახ. 1.3. დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები ძრავული და რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმში

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რაც მეტია ღუზის წრედის წინააღობა, მით მეტია ბრუნვის სიხშირე რეკუპ-

ერაციულ სამუხრუჭო რეჟიმში, ერთსა და იმავე სტატიკური მომენტის დროს (ნახ. 13).

ბ) დინამიკური დამუხრუჭება ხორციელდება ღუზის წრედის ქსელიდან ამორთვისას და გარე წინააღობაზე მიერთებისას; ამიტომ მას ხშირად, რელსტატულ დამუხრუჭებას უწოდებენ (ნახ. 14).



ნახ. 14. დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას ჩართვის სქემა დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში

ამ დროს, აგზნების გრაგნილი ქსელთან ჩართული უნდა დარჩეს. დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმშიც, მანქანა მუშაობს როგორც გენერატორი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამძრავში დაგროვილი კინეტიკური ან ჩამავალი ტვირთის პოტენციური ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდაიქმნება და რეკუპერაციული რეჟიმისგან განსხვავებით, გამოიყოფა სითბოს სახით ღუზის წრედში.

იმის გამო, რომ ემ ძალა დამუხრუჭების დროს ინარჩუნებს იმავე ნიშანს, რაც ჰქონდა ძრავულ რეჟიმში და ღუზას გარედან ძაბვა არ მიეწოდება, ღუზის დენი განი-

საზღვრება ფორმულით

$$I = (U - E) / R = (0 - E) / R = -E / R, \quad (1.15)$$

სადაც  $R = R_0 + R_{R2}$  ღუზის წრედის საერთო წინაღობაა.

სამუხრუჭე მომენტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ, როგორც

$$-M_t = \Phi I = -K\Phi \frac{E\omega}{R} = -K \Phi^2 \frac{\omega}{R}. \quad (1.16)$$


მუდმივი მაგნიტური ნაკადის დროს ( $\Phi = \text{const}$ )

$$\omega = \frac{R}{K\Phi^2} M_t = \frac{R}{C^2} M_t. \quad (1.17)$$

როგორც (1.17)-დან ჩანს, მექანიკური მახასიათებელი დინამიკური დამუხრუჭების დროს წარმოადგენს წრფეს, რომელიც კოორდინატთა სათავეზე გადის და მისი დახების კუთხე  $R$ -ის მიხედვით იცვლება. მინიმალური დახრა (მაქსიმალური სიხისტე) მიიღება ნულოვანი რეოსტატული წინაღობის დროს ანუ მაშინ, როდესაც ღუზის წრედში მხოლოდ ღუზის წინაღობაა ჩართული (იხ. ნახ. 1.5).

რადგანაც მახასიათებელი კოორდინატთა სათავეზე გადის, ბრუნვის სიჩქარის შემცირება იწვევს სამუხრუჭო მომენტის შემცირებას და გამოდის, რომ დინამიკური დამუხრუჭებით, მექანიკური მუხრუჭის გარეშე, ძრავას სრული გაჩერება შეუძლებელია. ესაა დინამიკური დამუხრუჭების ძირითადი ნაკლი. დინამიკური დამუხრუჭება ფართოდ გამოიყენება ამძრავის შესანელებლად, განსაკუთრებ-


ით ამწვევ მექანიზმებში ტვირთის ჩაშვების დროს. იგი საკმაოდ ეკონომიურია, მაგრამ, ამ მხრივ ჩამორჩება რეკუპერაციული დამუხრუჭების რეჟიმს.



ნახ. 1.5. დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებლები დინამიკური დამუხრუჭების რეჟიმში

გ) უკუხართვით დამუხრუჭება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ძრავას გრაგნილები ჩართულია ერთი მიმართულებით სამოდრაოდ, მაგრამ მასზე ისეთი სიდიდის დატვირთვაა მოდებული, რომ ძრავა იძულებით ბრუნავს მეორე მიმართულებით. ეს ხორციელდება, მაგალითად, ამწვეს ამძრავში, როცა ძრავა ჩართულია ტვირთის აწევაზე, ხოლო ტვირთის წონით გამოწვეული მომენტი ისეთია, რომ ძრავას აიძულებს იბრუნოს ტვირთის ჩაშვების მიმართულებით. ასეთივე რეჟიმი მიიღება, თუკი ერთი მიმართულებით მბრუნავ ძრავას შევუცვლით ქსელის პოლარულობას და ამით შევქმნით მოძრაობის საწინააღმ-

დეგო მიმართულების მაბრუნ მომენტს. განვიხილოთ ეს რეჟიმი გრაფიკზე (ნახ. 1.6).



**ნახ. 1.6. დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას მექანიკური მახასიათებელი უკუჩართვითი დამუხრუჭების რეჟიმში**

დავუშვათ, ძრავაზე მოდებულია  $M_{st1}$  დატვირთვა და იგი **a** წერტილში მუშაობს ძრავულ რეჟიმში. ახლა დავუშვათ, რომ რაღაც მიზეზით დაიწყო სტატიკურმა დატვირთვამ გაზრდა ძრავას ლილვზე. ამას მოჰყვება ბრუნვის სიჩქარის შემცირება და შესაბამისად, ემ ძალის შემცირებაც.

$$I = \frac{U - E}{R} = \frac{\psi_a C}{R} \quad \text{ძრავას ლუზაში გამავალი დენი}$$

დაიწყებს გაზრდას. როცა ბრუნვის სიჩქარე ნულს გაუტოლდება, ძრავაში გაივლის მოკლედ შერთვის (მ.შ.) დენი  $I_{k0} = U/R$  (**b** წერტილი) და იგი განავითარებს მ.შ.-ის მომენტს  $M_{k0}$ . დატვირთვის შემდგომი გაზრდა იწვევს ძრავ-



ას ბრუნვის მიმართულების შეცვლას და შესაბამისად, ძრავაში გამავალი დენის გაზრდას  $I = (U + \mathcal{E}) / R$ ; დენის გაზრდას კი მოჰყვება მომენტის გაზრდა და როცა ეს უკანასკნელი გაუტოლდება ჩამავალი ტვირთის წონით გამოწვეულ  $M_{st.2}$  მომენტს, დამყარდება თანაბარი მოძრაობა ( $\mathcal{C}$  წერტილი).

როგორც

$$I = \frac{U + \mathcal{E}}{R} \quad (1.18)$$

გამოსახულებიდან ჩანს, გარკვეულ პირობებში ძრავაში გამავალმა დენმა, შეიძლება დასაშვებს გადააჭარბოს. ამის გამო, უკუჩართვით დამუხრუჭების დროს, დუზის წრედში დამატებით წინაღობას ჩართავენ (ამას მახასიათებლის დახრაც გვიჩვენებს).

(1.18) ფორმულის ორივე მხარეს თუ გავამრავლებთ  $I R$ -ზე, მიიღება

$$I^2 R = UI + \mathcal{E}I = UI + EI \quad , \quad (1.19)$$


სადაც  $I^2 R$  დუზის წრედის გათბობაზე დახარჯული სიმძლავრეა;  $UI$ - ქსელიდან წამოდებული სიმძლავრე;  $EI$ - ძრავას ლილვზე ჩამავალი ტვირთის მექანიკური სიმძლავრის ეკვივალენტური ელექტრული სიმძლავრე.

ეკონომიურობის თვალსაზრისით, უკუჩართვით დამუხრუჭების რეჟიმი, განხილულ რეჟიმებთან შედარებით,

ყველაზე არაეკონომიურია - ჩამავალი ტვირთის ენერგია და ქსელიდან მიღებული ენერგია, ორივე ღუზის წრედში გამოიყოფა სითბოს სახით. დადებითი მხარეებია: ამ რეჟიმით შესაძლებელია ამძრავის როგორც შენელება, ისე სრულად გაჩერება და რევერსიც კი.

## 2. ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ფაზურ-როტორიანი ასინქრონული ძრავას ჩართვის სქემა მოცემულია 2.1. ნახაზზე.



ნახ. 2.1. ასინქრონული ფაზურ-როტორიანი ძრავას ქსელთან ჩართვის სქემა

მუდმივი დენის ძრავებისაგან განსხვავებით, ასინქრონულ ძრავებში მექანიკურ მახასიათებლებს აგებენ არა ძრავას მიერ განვითარებულ მომენტსა და მის შესაბამის ბრუნვის სიხშირეს შორის, არამედ მომენტსა და ე.წ. სრიალს  $S$ -ს შორის. სრიალი ფიზიკურად წარმოადგენს სტატორის ელექტრომაგნიტური ველის ბრუნვის სიჩქარესა ( $\omega_0$ ) და როტორის მიმდინარე ბრუნვის სიჩქარესა ( $\omega$ ) შორის სხვაობას და გამოსახება, როგორც

$$S = \frac{\omega_0 - \omega}{\omega_0}. \quad (2.1)$$

თავის მხრივ, ელექტრომაგნიტური ველის ბრუნთა რიცხვი, რომელსაც სინქრონულ ბრუნთა რიცხვს უწოდებენ, ქსელის ძაბვის სიხშირისა და ძრავას წყვილ პოლუსთა რიცხვის ფუნქციაა და გამოითვლება

$$n_0 = \frac{60f}{p} \quad (2.2)$$

გამოსახულებით. რადგანაც ძრავას წყვილ პოლუსთა რიცხვი  $p$  ნატურალური რიცხვია, სამრეწველო ქსელის სტანდარტული სიხშირის დროს ( $f = 50$  კვ.) სწრაფმავალი ძრავების სინქრონული ბრუნთა რიცხვი ტოლია შემდეგი სიდიდეებისა:

<b>p</b>	<b>1</b>	<b>2</b>	<b>3</b>	<b>4</b>	<b>5</b>	<b>6</b>	<b>და ა.შ.</b>
<b>n<sub>0</sub></b>	<b>3000</b>	<b>1500</b>	<b>1000</b>	<b>750</b>	<b>600</b>	<b>500</b>	<b>და ა.შ.</b>

ხოლო შესაბამისი ბრუნვის სიხშირე გამოითვლება შემდეგი გამოსახულებით

$$\omega_0 = \frac{\pi n_0}{30}. \quad (2.3)$$

სინქრონული ბრუნთა რიცხვი ადვილად შეიძლება განისაზღვროს ძრავას ნომინალური ბრუნთა რიცხვიდანაც, რადგანაც ეს უკანაკნელი (2...3)%-ით ნაკლებია სინქრონულზე  $n_0 = 3000 / \text{round}(3000 / n_n)$ .

საშუალო და დიდი სიმძლავრის ძრავებში (10-15 კვტ

და ზემოთ), სტატორის აქტიური წინაღობის სიდიდეს უგულვებელყოფენ მისი სიმცირის გამო და ამის გათვალისწინებით, ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის განტოლებას აქვს სახე

$$M = \frac{2M_m \cdot S_m}{S_m^2 + S^2} S. \quad (2.4)$$

აქ,  $M_m$ , ძრავას მიერ განვითარებული კრიტიკული ანუ მაქსიმალური მომენტია და განისაზღვრება ძრავას საპასპორტო მონაცემებიდან;  $S_m$  სრიალის მაქსიმალური მნიშვნელობაა და შეესაბამება ძრავას მიერ განვითარებულ მაქსიმალურ მომენტს.

(2.4) გამოსახულებიდან

$$S = S_m \left( b_n - \sqrt{b_n^2 - 1} \right). \quad (2.5)$$


აქ  $b = \frac{M_m}{M}$  მაქსიმალური მომენტის ფარდობაა აღებული მომენტის მნიშვნელობასთან. თუ  $M = M_n$ , მაშინ სიდიდეს,  $b_n = \frac{M_m}{M_n}$ -ს უწოდებენ ძრავას გადატვირთვის უნარიანობას და (2.4) გამოსახულებიდან

$$S_m = S_n \left( b_n + \sqrt{b_n^2 - 1} \right). \quad (2.6)$$

რადიკალის წინ აიღება “+” ნიშანი, რადგანაც  $S_m$

ყოველთვის მეტია  $S_n$ -ზე.

2.2 ა)-ნახაზზე ასინქრონული ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი წარმოდგენილია  $M=f(S)$  ფუნქციით, ხოლო 2.2 ბ) – ნახაზზე -  $M=f(\omega)$  ფუნქციით.



ნახ. 2.2. ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლები

ასინქრონული ძრავას მექანიკური მახასიათებლის მნიშვნელოვან წერტილებს წარმოადგენს:

- 1)  $S = 0; (\omega = \omega_0) \dots M = 0$  - უქმი სვლის რეჟიმი;
- 2)  $S = S_n; (\omega = \omega_n) \dots M = M_n$  - ნომინალური რეჟიმი;
- 3)  $S = S_m; (\omega = \omega_m) \dots M = M_m$  - ძრავას მაქსიმალური (კრიტიკული) მომენტი;
- 4)  $S = 1; (\omega = \omega_0) \dots M = M_0$  - ძრავას ამუშავების მომენტი.

ზემოთ განხილული მახასიათებლები ბუნებრივი მახასიათებლებია და ისინი აიგება თანმიმდევრობით. ძრავას საპასპორტო მონაცემებია: ნომინალური სიმძლავრე  $P_n$ ,

კვტ; ნომინალური ბრუნვათა რიცხვი  $n_n$ , ბრ/წთ; გადატვირთვის კოეფიციენტი  $b_n = M_m / M_n$ ; წყვილ პოლუსთა რიცხვი  $p$ :

განისაზღვრება:

1) ძრავას ნომინალური სრიალი  $S_n = 1 - \frac{\omega_n}{\omega_0}$ ;

2) ძრავას მაქსიმალური სრიალი  $S_m = S_n \left( b_n + \sqrt{b_n^2 - 1} \right)$ ;

3) ძრავას ნომინალური მომენტი  $M_n = 9550 \frac{P_n}{n_n}$ , ნმ

4) ძრავას მაქსიმალური მომენტი  $M_m = M_n b_n$ .

ამის შემდეგ, სრიალს მისცემენ სხვადასხვა მნიშვნელობებს 1-დან 0-მდე და (2.5) ფორმულის მიხედვით ააგებენ ასინქრონული ძრავას ბუნებრივ მექანიკურ მახასიათებელს  $M=f(s)$  კოორდინატებში.

როტორის წრედში აქტიური წინაღობის ჩართვით იზრდება

$$S_m = \pm \frac{R'_2}{\sqrt{R_1^2 + X_{m0}^2}} \quad (2.7)$$

სრიალის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ნიშანი “+” აიღება ძრავულ რეჟიმში, ხოლო “-“ – გენერატორულ (სამუხრუჭე) რეჟიმში.

აქ,  $R_1, X_1$  სტატორის აქტიური და ინდუქციური წინაღობაა, ომი;

$R'_2, X'_2$  - სტატორზე დაყვანილი როტორის ფაზის აქტიური და ინდუქციური წინაღობა, ომი;

$X_{m0} = X_1 + X'_2$  - მოკლედ შერთვის ინდუქციური წინაღობა, ომი.

განვიხილოთ როტორის წრედში ჩართული რეოსტატის წინაღობის გავლენა მახასიათებლის ფორმაზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტატორის აქტიურ წინაღობას, სრიალის მაქსიმალური მნიშვნელობა ბუნებრივ მახასიათებელზე იქნება

$$S_{m0} = \frac{R'_2}{X_{m0}}, \quad (2.8)$$

ხოლო ხელოვნურზე

$$S_{mx} = \frac{R'_2 + r'_0}{X_{m0}}. \quad (2.9)$$

(2.8) და (2.9) ფორმულების ერთმანეთზე გაყოფით, მიიღება:

$$\frac{S_{mx}}{S_{m0}} = \frac{R'_2 + r'_0}{R'_2} = \frac{R_2 + r_0}{R_2} = 1 + \frac{r_0}{R_2}, \quad (2.10)$$

სადაც  $R_2$  როტორის წრედში ჩართული რეოსტატის წინაღობაა




$$R_2 = r_0 \frac{S_{m0}}{S_{mx} - S_{m0}} . \quad (2.11)$$

ეს დამოკიდებულება მართებულია სრიალის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის.


ამგვარად, შეიძლება აღინიშნოს, რომ ერთსა და იმავე მომენტის დროს სრიალის სიდიდე ხელოვნურ მახასიათებელზე იმდენჯერ მეტია ბუნებრივი მახასიათებლის შესაბამის სრიალზე, რამდენჯერაც მეტია როტორის სრული წინაღობა  $R_2 + r_0$ , როტორის გრაგნილის  $r_0$  წინაღობაზე.

მახასიათებლები რეოსტატის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს, მოყვანილია ნახ. 2.3 ნახაზზე.

ძრავას მიერ  $M_1$  მომენტის განავითარებისას (როდესაც როტორის წრედში მთლიანადაა ჩართული  $R_1$ ,  $R_2$  და  $R_3$  გამშვები წინაღობები), ამძრავი აჩქარდება III მექანიკურ მახასიათებელზე (ნახ. 2.4). სიჩქარის გაზრდასთან ერთად, გაიზრდება ძრავაში ემ ძალა და ამის გამო, შემცირდება როტორში გამავალი დენი; აგრეთვე შემცირდება ძრავას მიერ განვითარებული მომენტი; როდესაც იგი გაუტოლდება ამძრავზე მოდებულ სტატიკურ მომენტს, აჩქარება შეწყდება და ძრავა იმუშავებს თანაბარი სიჩქარით (წერტილი  $a$ ).



ნახ. 2.3. მექანიკური მახასიათებლები როტორის წრედში სხვადასხვა აქტიური წინაღობის დროს



ნახ. 2.4. რესტატული ამუშავება მუდმივი დატვირთვით

ნომინალური სიჩქარის (წერტილი d) მიღწევისათვის საჭიროა ძრავა გადავიდეს ბუნებრივ მახასიათებელზე ამისათვის, როდესაც ძრავას მიერ განვითარებული მომენტი III მახასიათებელზე გახდება  $M_2$ -ის ტოლი (წერტილი 2), საჭიროა ჩამოკლდეს (დაშუნტდეს) წინააღობის პირველი საფეხური  $R_3$ . ამის შედეგად ძრავას მიერ განვითარებული მომენტი გაიზრდება  $M_1$  მნიშვნელობამდე და

გადავა II მახასიათებელზე (წერტილი 3). ამძრავი ისევე აჩქარდება, ამჟამად II მახასიათებელზე, და როცა მის მიერ განვითარებული მომენტი შემცირდება  $M_2$  მნიშვნელობამდე (წერტილი 4), ჩამოკლდება  $R_2$  წინაღობა და ამძრავი ისევე  $M_1$  მომენტით აჩქარდება I მახასიათებელზე (წერტილი 5-დან წერტილ 6-მდე). ამის შემდეგ, ჩამოკლდება ბოლო  $R_1$  წინააღობა და ძრავა გადავა ბუნებრივ, 0 მექანიკურ მახასიათებელზე. იგი დაიწყებს თანაბარი სიჩქარით მუშაობას წერტილ d-ში.

$M_1$  მომენტს უწოდებენ პიკურ მომენტს, ხოლო  $M_2$  - ს - გადართვის მომენტს. ასინქრონულ ძრავებში პიკური მომენტი აიღება მაქსიმალურის (80...90)%, ხოლო გადართვის მომენტი - სტატიკურზე (15...20)%-ით მეტი. ანუ  $M_1 \leq (0.8...0.9)M_m$  და  $M_2 \geq (1.15...1.2)M_{st}$ .

ასეთი მეთოდით ამუშავებისას, ძრავას მიერ განვითარებული მომენტი  $M_1$ -დან  $M_2$  მნიშვნელობამდე იცვლება, ხოლო გარდამავალი პროცესის გაანგარიშებისას ამამუშავებელი მომენტი  $M_0$  შეიძლება ჩაითვალოს მუდმივად და მისი მნიშვნელობა  $M_0 = \sqrt{M_1 M_2}$  ფორმულით გამოითვლება.

თუ სტატკური დატვირთვა ამძრავზე ნომინალურის

$M_{st} = (0.1...0.5)M_n$ -ია, ამუშავების რეჟიმი “მსუბუქია”; თუ  
 $M_{st} = (0.5...0.9)M_n$ - ამუშავება “ნორმალურია” და თუკი  
 $M_{st} \geq M_n$ - “ძვირია” [1,2].

როდესაც მომენტი იცვლება  $M_1$ -დან  $M_2$ -მდე, ამუშავებას უწოდებენ **საფეხურებიანს**. ამ დროს, მექანიზმების ნაწილებში აღიძვრება ციკლური ხასიათის დამატებითი დინამიკური დატვირთვა, რომელიც ზრდის მანქანის ელემენტების ცვეთას. მომენტის ცვალებადობა საგრძნობლად შეიძლება შემცირდეს, ამამუშავებელი საფეხურების რიცხვის გაზრდით. თუ  $\frac{M_1}{M_2} \rightarrow 1$ , მაშინ ამუშავება უსაფეხურო ხდება და ძრავას შესაძლებლობები მაქსიმალურია.

სამთო მანქანებში (კიდული ბაგირგზები, საშახტო ჯალამბრები, ლენტური კონვეიერები და სხვ.) სავსებით მისაღებია  $z = (7-8)$ - ის აღება. ამ დროს ამამუშავებელ  $M_0$  და პიკურ  $M_1$  მომენტებს შორის განსხვავება მხოლოდ 12% -ია.

როგორც აღინიშნა,  $M_2$  გადართვის მომენტის მნიშვნელობა  $M_2 \geq (1.15...1.2)M_{st}$ .

შესაბამისი გადატვირთვის კოეფიციენტი იქნება

$$b_2 = \frac{M_m}{M_2} = \frac{M_m}{k_2 M_m} = \frac{1}{k_2}, \quad (2.12)$$

სოლო მისი  $a_2$  კოეფიციენტი

$$a_2 = b_2 - \sqrt{b_2^2 - 1}. \quad (2.13)$$

ამამუშავებელი მომენტის,  $M_0$ -ის მნიშვნელობად მივიღოთ

$$M_0 = 1.2M_n = 1.2 \frac{M_m}{b_n} \text{ ნმ}; \quad (2.14)$$

შესაბამისად,

$$b_0 = \frac{b_n}{1.2}; \quad (2.15)$$

მაშინ, პიკური მომენტის გადატვირთვის კოეფიციენტი იქნება

$$b_1 = \frac{b_0^2}{b_2}; \quad (2.16)$$

სოლო პიკური მომენტის კოეფიციენტი

$$a_1 = b_1 - \sqrt{b_1^2 - 1}; \quad (2.17)$$

ამამუშავებელი რეოსტატის საფეხურების რაოდენობა

$$z = \text{round} \left[ \frac{\lg \left( \frac{1}{a_1 S_{m0}} \right)}{\lg \left( \frac{a_1}{a_2} \right)} \right]. \quad (2.18)$$

ამ დამრგვალებული  $z$ -სათვის გამოითვლება  $a_1$ -ის ახალი მნიშვნელობა

$$a_1 = \left( \frac{a_2^z}{S_{m0}} \right)^{\frac{1}{z+1}} ; \quad (2.19)$$

**b** კოეფიციენტის მნიშვნელობა

$$b = \frac{a_1}{a_2} . \quad (2.20)$$

რადგანაც უკვე ცნობილია  $b = \frac{a_1}{a_2}$  სიდიდე, შესაძლებელია ამუშავების მექანიკური მახასიათებლების აგება.

ასევე ცნობილია, რომ ბუნებრივი მახასიათებლის მაქსიმალური სრიალის საშუალებით ადვილად აიგება ხელოვნური მახასიათებლებიც; კერძოდ, ხელოვნური მახასიათებლების მაქსიმალური სრიალი ერთმანეთისაგან განსხვავდება  $b$  სიდიდით და გამოითვლება  $S_{mz} = S_{m0}b^z$ -ის საშუალებით.

ამის შემდეგ, (2.4) ფორმულით აიგება ბუნებრივი და ხელოვნური მახასიათებლები

$$M = \frac{2M_m S_{m0} b^z}{(S_{m0} b^z)^2 + S^2} S . \quad (2.21)$$

როცა  $z = 0$ , აიგება ბუნებრივი მახასიათებელი, ხოლო როცა  $z = 1 \dots n$ - შესაბამისი ხელოვნური მახასიათებელი.

როტორის ერთი ფაზის ნომინალური წინაღობა გამოითვლება  $R_n = \frac{U_{2n}}{\sqrt{3}I_{2n}}$ , ხოლო საკუთრივ როტორის წინა-


ღობა -  $r_0 = R_n S_{n0}$  ფორმულით.  $I_{2n}$  - არის როტორის ნომინალური დენი, ა;  $U_{2n}$  - როტორის ემ ძალა, ვ; მათი სიდიდეები ძრავებისათვის მოცემულია კატალოგში.

როტორის წრედში მიერთებული წინაღობები ყოველ საფეხურზე განისაზღვრება  $R_z = r_0 \cdot b^z$  გამოსახულებით, ხოლო თითოეული საფეხურის წინაღობა

$$r_z = R_z - R_{z-1} = r_0(b^z - b^{z-1}) = r_0(b - 1)b^{z-1};$$

2.5 ნახაზზე ნახვენები სქემისათვის  $R_1 = r_0 + r_1$ ;

$R_2 = r_0 + r_1 + r_2 = R_1 + r_2$  და  $R_3 = r_0 + r_1 + r_2 + r_3 = R_2 + r_3$ .




ნახ. 2.5. როტორის წრედის წინაღობების განსაზღვრა

### 3. ორბოლიანი საშახტო ჯალამბრის

#### ამუშაების თავისებურებანი

განვიხილოთ ორბოლიანი საშახტო ჯალამბრის ამუშაება. ამ ამოცანის თავისებურება ისაა, რომ ამუშაების დროს გარდამავალი პროცესის ხასიათზე მოქმედებს არა მხოლოდ ბაგირის (დრეკადი ტრანსმისიის) მასა, არამედ წონაც. დეფორმაციის დროს იცვლება ბაგირის სიმძიმის ცენტრის მდებარეობა, პოტენციური ენერგია და შესაბამისად, განზოგადებული ძალა.

რადგან ჩამავალი სკიპი ამუშაების პერიოდში ახლოსაა დამხვევ დოლთან, საშუალება გვეძლევა მისი მასა დაუშვათ დოლისას, ჩამავალი ბაგირის სიხისტის კოეფიციენტი მივიღოთ უსასრულობის ტოლად და საბოლოო ჯამში, სინამდვილეში სამმასიანი სისტემა წარმოვიდგინოთ როგორც ორმასიანი. ამ დაშვებით მიღებული საანგარიშო სქემა მოცემულია 3.1. ა) ნახაზზე.



ნახ. 3.1. საშახტო ჯალამბრის კინემატიკური სქემა



დაეუშვათ განზოგადებული კოორდინატებია  $m_2$  ჭურჭლის გადაადგილება  $y$  და ბაგირის ზედა ბოლოს გადაადგილება დოლის ზედაპირზე  $x$ , ხოლო  $m_1$  არის ძრავას, გადამცემი მექანიზმისა და დოლის დაყვანილი მასა დოლის ზედაპირზე;  $L_0$  - აწვეის სიგრძე;  $C$  - ბაგირის სისისტიის კოეფიციენტი.

ვთქვათ, ჯალამბარი დამუხრუჭებულია და ამწვეი ბაგირის სიგრძეა  $L$ . ძრავას ჩართვისა და განმუხრუჭის შემდეგ დოლი დაიწვებს ბრუნვას. ბაგირის დრეკადობის გამო, დროის გარკვეულ მცირე მონაკვეთში, დოლის  $x$  და ჭურჭლის  $y$  განვლილი მანძილები განსხვავებული იქნება. რასაკვირველია,  $x > y$ . ჭურჭელი ჯერ ჩამორჩება დოლს, ხოლო შემდეგ, ინერციის ძალების ხარჯზე დაიწვებს რხევას.

ბაგირის მასის გასათვალისწინებლად გამოვიყენოთ რელეის მეთოდი

$$u = x - \frac{x - y}{L} z, \quad (3.1)$$

სადაც  $u$  ბაგირის კვეთის გადაადგილებაა დეფორმაციის დროს. იგი, ბაგირის დოლზე ჩამაგრების ადგილიდან  $z$  მანძილითაა დაშორებული (ნახ. 3.1. ბ).

ბაგირის კინეტიკური ენერგია გამოითვლება ფორმულით

$$T_r = \frac{1}{2} m_{or} \int_0^L \dot{u}^2 dz = \frac{1}{2} m_{or} \int_0^L \left( \dot{x} - \frac{\dot{x} - \dot{y}}{L} z \right)^2 dz, \quad (3.2)$$

ხოლო ინტეგრალის ამოღების შემდეგ, იქნება

$$T_r = \frac{1}{2} m_r \frac{\dot{x}^2 + \dot{x}\dot{y} + \dot{y}^2}{3}, \quad (3.3)$$

სადაც  $m_{or}$  ერთი მეტრი ბაგირის მასაა,  $m_r$  - მთლიანი ბაგირის მასა.

სისტემის სრული კინეტიკური ენერგია

$$T = T_1 + T_2 + T_r = \frac{1}{2} m_1 \dot{x}^2 + \frac{1}{2} m_2 \dot{y}^2 + \frac{1}{2} m_r \frac{\dot{x}^2 + \dot{x}\dot{y} + \dot{y}^2}{3}. \quad (3.3)$$

ბაგირის კვეთის გადაადგილებით გამოწვეული პოტენციური ენერგიის ცვალებადობაა

$$\Pi_1 = m_r g \int_0^L u dz = m_r g \int_0^L \left( x - \frac{x - y}{L} z \right) dz = m_r g \frac{x + y}{2}. \quad (3.5)$$

ბაგირის დეფორმაციით გამოწვეული პოტენციური ენერგიის ცვალებადობა

$$\Pi_2 = \frac{1}{2} c(x - y + f_0)^2, \quad (3.6)$$

სადაც  $f_0$  ამავე ბაგირის წინასწარი სტატიკური დაჭიმულობაა. მიღებულია, რომ წინასწარ დაჭიმულობას ჭურჭლის  $m_2 g$  წონასთან ერთად, ქმნის ბაგირის წონის ნახევარი. ასე რომ

$$f_0 = \frac{1}{c} \left( \frac{1}{2} m_r + m_2 \right) g. \quad (3.7)$$

სისტემის სრული პოტენციური ენერგია, ჭურჭლის წონის გათვალისწინებით იქნება

$$\Pi = \Pi_1 + \Pi_2 + m_2 g y. \quad (3.8)$$

სისტემას აქვს თავისუფლების ორი ხარისხი და საჭიროა ლაგრანჟეს ორი განტოლების შედგენა.

განვსაზღვროთ განტოლებებში შემავალი წევრები

$$\left\{ \begin{array}{l} \frac{d}{dt} \frac{\partial T}{\partial \dot{x}} = \left( m_1 + \frac{1}{3} m_r \right) \ddot{x} + \frac{1}{6} m_r \ddot{y}; \\ \frac{d}{dt} \frac{\partial T}{\partial \dot{y}} = \left( m_2 + \frac{1}{3} m_r \right) \ddot{y} + \frac{1}{6} m_r \ddot{x}; \\ \frac{\partial \Pi}{\partial x} = \frac{1}{2} m_r g + c(x-y) + \frac{1}{2} m_r g + m_2 g = (m_r + m_2) g + c(x-y); \\ \frac{\partial \Pi}{\partial y} = \frac{1}{2} m_r g - c(x-y) - \frac{1}{2} m_r g - m_2 g + m_2 g = -c(x-y); \end{array} \right. \quad (3.9)$$

$$Q'_x = F_{\text{mot}} \quad \text{და} \quad Q'_y = 0.$$

$F_{\text{mot}}$  ძრავას მიერ ჯალამბრის დოღზე განვითარებული ძალაა.

უკანასკნელი სისტემიდან შეიძლება მივიღოთ ჯალამბრის ამუშავების აღმწერი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} a_{11}\ddot{x} + a_{12}\ddot{y} = F_{\text{mot}} - Q - c(x - y); \\ a_{21}\ddot{x} + a_{22}\ddot{y} = c(x - y), \end{cases} \quad (3.10)$$

სადაც  $a_{11} = m_1 + \frac{1}{3}m_r$ ;  $a_{12} = \frac{1}{6}m_r$ ;  $a_{22} = m_2 + \frac{1}{3}m_r$ ;

$a_{21} = a_{12}$ ;  $Q = (m_r + m_2)g$ .

[3]- ის გათვალისწინებით, (3.9) განტოლებათა სისტემა გადაიწერება შემდეგი სახით (ამ შემთხვევაში

$a_{11} = m_1 + \frac{1}{2}m_r$ ;  $a_{12} = a_{21} = 0$  და  $a_{22} = m_2 + \frac{1}{2}m_r$ )

$$\begin{cases} a_{11}\ddot{x} = F_{\text{mot}} - Q - c(x - y); \\ a_{21}\ddot{x} = c(x - y). \end{cases} \quad (3.11)$$

(3.10) სისტემა ჩავწერთ ოპერაციული ფორმით და ცვლადები განვსაზღვროთ ნულოვანი საწყისი პირობებისათვის

$$\begin{cases} \bar{x} = \frac{F_{\text{mot}} - Q}{a_{11}a_{22}} \frac{a_{22}p^2 + c}{R^3(p^2 + \frac{c}{a_{22}})}; \\ \bar{y} = \frac{F_{\text{mot}} - Q}{a_{11}a_{22}} \frac{c}{R^3(p^2 + \frac{c}{a_{22}})}. \end{cases} \quad (3.12)$$

ჩვენთვის უფრო საინტერესოა აჩქარებისა და სიჩქარის განსაზღვრა. ამისათვის, (3.11) სისტემის ორივე განტოლების ორივე მხარე გავამრავლოთ  $p^2$ -ზე და განვსაზღვროთ აჩქარება, ხოლო შემდეგ მათი ინტეგრირებით— სიჩქარე. შედეგად, მივიღებთ:

აჩქარებები -

$$\begin{cases} a_x = a_0 \left( 1 - \frac{a_{22} \omega^2 c}{c} \cos \right), \\ a_y = a_0 \left( \frac{a_{22} \omega^2 c}{c} \sin \right), \end{cases} \quad (3.13)$$

სიხქარეები -

$$\begin{cases} v_x = a_0 \left( \frac{a_{22} \omega^2 c}{c \omega} \sin \right) \\ v_y = a_0 \left( \frac{1}{\omega} \sin \right), \end{cases} \quad (3.14)$$

სადაც  $\omega^2 = \frac{a_{11} + a_{22}}{a_{11} a_{22}} c$ ,  $1/\sqrt{m}$  სისტემის რხევის კუთხური

სიხშირეა, ხოლო  $a_0 = \frac{F_{\text{mot}} - Q}{a_{11} + a_{22}} = \frac{F_{\text{mot}} - Q}{m_1 + m_2 + m_r}$  -

სისტემის საშუალო აჩქარების სიდიდე.

## პრაქტიკული სამუშაოები

### ამოცანა №1

გამოვთვალოთ მუდმივი დენის დამოუკიდებელ-აგზნებრიანი ძრავას ხელოვნური მექანიკური მახასიათებლები, რომლებიც შეესაბამება:

- ა) ძრავას აგზნების ნაკადის ცვლილებას -  $c_f = 0.75 \cdot c$ ;
- ბ) ძრავაზე მოდებულ ძაბვის ცვლილებას -  $U_v = 0.25 \cdot U_n$ ;
- გ) ღუზის წრედის წინააღობის ცვლილებას -  $R_r = 0.8 \cdot R_n$ ;

**მიღებულია, რომ ძრავას დატვირთვა ყველა რეჟიმში ნომინალურია.**

გამოთვლებისათვის საჭირო მონაცემებია:

$$P_n = 5.4 \text{ კვტ}; U_n = 220 \text{ ვ}; n_n = 1000 \text{ ბრ/წთ}; I_n = 27 \text{ ა.}$$

**ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი:**

ძრავას ბრუნვის სიხშირე

$$\omega_n = \frac{\pi n_n}{30} = \frac{\pi \cdot 1000}{30} \approx 105 \text{ 1/წმ};$$

მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ)

$$\eta_n = \frac{P_n 10^3}{U_n I_n} = \frac{5.4 \cdot 10^3}{220 \cdot 27} \approx 0.91;$$

ნომინალური წინააღობა

$$R_n = \frac{U_n}{I_n} = \frac{220}{27} = 8.15 \text{ ომი};$$

ღუზის წინაღობა

$$R_0 = 0.5(1 - \eta_n)R_n = 0.5(1 - 0.91) \cdot 8.15 = 0.37 \text{ ომი};$$

ემ ძალის კოეფიციენტი

$$C = \frac{U_n - I_n R_0}{\omega_n} = \frac{220 - 27 \cdot 0.37}{105} = 2 \text{ ვწმ};$$

ძრავას უქმი სვლის ბრუნვის სიხშირე

$$\omega_0 = \frac{U_n}{C} = \frac{220}{2} = 110 \text{ 1/წმ};$$

ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_n = C I_n = 2 \cdot 27 = 54 \text{ ნმ};$$

ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული

$$\beta_s = \frac{C^2}{R_0} = \frac{2^2}{0.37} = 10.8 \text{ ნმწმ}.$$

ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის განტოლება  
 $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\omega_s = \omega_0 - \frac{M}{\beta_s} = 110 - \frac{M}{10.8}.$$

M-ის ცვლილებით (მაგ.,  $M = 0 \dots 1.1 \cdot M_n$ ) აიგება ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი.

ა) ხელოვნური მექანიკური მახასიათებელი ძრავას აგზნების ნაკადის ცვლილებისას ( $C_r \neq C$ )

ემ ძალის კოეფიციენტი აგზნების ნაკადის შემცირებისას,  $C_f = 0.75 \cdot C$  ვწმ;

იდეალური უქმი სვლის ბრუნთა რიცხვი აგზნების ნაკადის შემცირებისას

$$\omega_{of} = \frac{\omega_0}{0.75} = \frac{110}{0.75} = 146.7 \text{ 1/წმ};$$

მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული აგზნების ნაკადის შემცირებისას

$$\beta_f = 0.75^2 \cdot \beta_s = 0.75^2 \cdot 10.8 \approx 6 \text{ ნმწმ};$$

მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\omega_f = \omega_{of} \cdot \frac{M}{\beta_f} = 146.7 \cdot \frac{M}{6}.$$

**ბ) ხელოვნური მახასიათებელი (რეოსტატული,  $R_r \neq R_0$ )**

რეოსტატული მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული, როდესაც ღუზის წრედის ჯამური წინაღობა

$$R_r = 0.25 \cdot R_n$$

$$\beta_r = \frac{C^2}{R_r} = \frac{C^2}{0.25R_n} = \frac{2^2}{0.25 \cdot 8.15} = 1.96 \text{ ნმწმ};$$

რეოსტატული მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში



$$\omega_r = \omega_0 - \frac{M}{\beta_r} = 110 - \frac{M}{1.96}.$$

გ) ხელოვნური მახასიათებელი ( $U_v \neq U_n$ )

იდეალური უქმი სვლის ბრუნვის სიხშირე, როდესაც დრავაზე მოდებულია  $U_v = 0.8 \cdot U_n$  ვ. ძაბვა

$$\omega_{0v} = 0.8 \cdot \omega_0 = 0.8 \cdot 110 = 88 \quad 1/\text{წმ}.$$

ხელოვნური მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\omega_v = \omega_{0v} - \frac{M}{\beta_s} = 88 - \frac{M}{10.8}.$$


გამოთვლებისა და გრაფიკული აგების გამარტივების მიზნით, გამოვიყენოთ დაპროგრამების სისტემა MATLAB-ი.

```
>> Gv=input('Input name ','s'); sname=' Jg';
Jg=input('Input # group','s');
Pn=input('Pn='); Un=input('Un='); In=input('In=');
Nn=input('Nn='); Pn=5.4; Un=220; In=27; Nn=1000; Wn=pi*Nn/30;
eta=Pn*10^3/Un/In; Rn=Un/In; R0=(1-eta)*Rn/2; c=(Un-In*R0)/Wn;
Mn=c*In; W0=Un/c; bs=c^2/R0; cf=.75*c; Rr=.5*Rn; W0f=W0/.75;
bf=.75^2*bs; br=c^2/Rr; W0v=.8*W0; M=-1.2*Mn:0.001:1.2*Mn;
Wss=W0-M/bs; Wff=W0f-M/bf; Wvv=W0v-M/bs;
plot(M,Wss,'k--',M,Wff,'r--',M,Wvv,'b--','LineWidth',2.5); hold on,
M=0:0.001:1.0*Mn;Wrr=W0-M/br;
plot(M,Wrr,'g--','LineWidth',2.5);grid; hold on,
legend('Ws=W0-M/bs','Wf=W0f-M/bf','Wv=W0v-M/bs', 'Wr=W0-M/br',-1);
```

```

text(.025*Mn,.03*W0,'0','FontSize',12);
text(.01,1.05*W0,['W0=',num2str(W0,'%9.2f')],'FontSize',8);
text(.01,1.05*W0f,['W0f=',num2str(W0f,'%9.2f')],'FontSize',8);
text(.01,1.05*W0v,['W0v=',num2str(W0v,'%9.2f')],'FontSize',8);
ylabel('W','FontSize',12); xlabel('M','FontSize',12);
title([Gv, sname, Jg, ' =amocana #1= ', date],'FontSize',11);

```



ამოცანა №1

## ამოცანა №2

გამოვთვალთ მუდმივი დენის დამოუკიდებელ-აგზნებიანი ძრავას ბუნებრივი და ხელოვნური მექანიკური მახასიათებლები:

1. ძრავულ რეჟიმში

ა) ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი – ძრავას კატალოგური მონაცემებით;

2. გენერატორულ რეჟიმში

ა) რეკუპერაციული დამუხრუჭება -  $R_{rek} = R_0$ ;

ბ) დინამიკური დამუხრუჭება -  $R_{din} = 0.75 \cdot R_n$ ;

გ) უკუჩართვით დამუხრუჭება -  $R_u = 2 \cdot R_n$ .

**მიღებულია, რომ ძრავას დატვირთვა ყველა რეჟიმში ნომინალურია.**

გამოთვლებისათვის საჭირო მონაცემებია:

$P_n = 5.4$  კვტ;  $U_n = 220$  ვ;  $n_n = 1000$  ბრ/წმ;  $I_n = 27$  ა.

1. ძრავული რეჟიმი

ა) ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი

ძრავას ბრუნვის სიხშირე

$$\omega_n = \frac{\pi n_n}{30} = \frac{\pi \cdot 1000}{30} \approx 105 \text{ 1/წმ};$$

მარგი ქმედების კოეფიციენტი (მქკ)

$$\eta_n = \frac{P_n 10^3}{U_n I_n} = \frac{5.4 \cdot 10^3}{220 \cdot 27} \approx 0.91;$$

ნომინალური წინაღობა

$$R_n = \frac{U_n}{I_n} = \frac{220}{27} = 8.15 \text{ ომი};$$

ღუზის წინაღობა

$$R_0 = 0.5(1 - \eta_n)R_n = 0.5(1 - 0.91) \cdot 8.15 = 0.37 \text{ ომი}.$$

ემ ძალის კოეფიციენტი

$$C = \frac{U_n - I_n R_0}{\omega_n} = \frac{220 - 27 \cdot 0.37}{105} = 2 \text{ ვწმ};$$

ძრავას უქმი სვლის ბრუნვის სიხშირე

$$\omega_0 = \frac{U_n}{C} = \frac{220}{2} = 110 \text{ 1/წმ};$$

ძრავას ნომინალური მომენტი

$$M_n = cI_n = 2 \cdot 27 = 54 \text{ ნმ};$$

ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული

$$\beta_s = \frac{C^2}{R_0} = \frac{2^2}{0.37} = 10.8 \text{ ნმწმ};$$

ბუნებრივი მექანიკური მახასიათებლის განტოლება

$\omega = f(M)$  კორდინატებში

$$\omega_s = \omega_0 - \frac{M}{\beta_s} = 110 - \frac{M}{10.8}.$$

M-ის ცვლილებით (მაგ.,  $M = 0 \dots 1.1 \cdot M_n$ ) აიგება ძრავას ბუნებრივი მექანიკური მახასიათებელი.

## 2. გენერატორული რეჟიმი

### ა) რეკუპერაციული დამუხრუჭება

რეკუპერაციული დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული, როდესაც ღუზის წრედის ჯამური წინაღობაა  $R_{rek} = R_0$

$$\beta_{rek} = \frac{C^2}{R_{rek}} = \frac{C^2}{R_0} = \frac{2^2}{0.37} = 10.8 \text{ ნმწმ};$$

რეკუპერაციული დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\omega_{rek} = \omega_0 - \frac{M}{\beta_{rek}} = 108 - \left( -\frac{M}{10.8} \right).$$

### ბ) უკუხართვით დამუხრუჭება

უკუხართვით დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული, როდესაც ღუზის წრედის ჯამური წინაღობაა  $R_u = 2 \cdot R_n$

$$\beta_u = \frac{C^2}{R_u} = \frac{C^2}{2 \cdot R_n} = \frac{2^2}{2 \cdot 8.15} = 0.245 \text{ ნმწმ};$$

უკუხართვით დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\omega_u = \omega_0 - \frac{M}{\beta_u} = -\frac{M}{0.245}.$$

### გ) დინამიკური დამუხრუჭება

დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის სიხისტის მოდული, როდესაც ღუზის წრედის ჯამური წინაღობაა  $R_d = 0.75 \cdot R_n$

$$\beta_d = \frac{C^2}{R_d} = \frac{2^2}{0.75 \cdot 8.15} = 10.8 \text{ ნმწმ};$$

დინამიკური დამუხრუჭების მექანიკური მახასიათებლის განტოლება  $\omega = f(M)$  კოორდინატებში

$$\underline{\omega_d = -\frac{M}{\beta_d} = -\frac{M}{10.8} .}$$


გამოთვლებისა და გრაფიკული აგების გამარტივების მიზნით გამოვიყენოთ დაპროგრამების სისტემა MATLAB-ი

```
>> Gv=input('Input name ','s');sname=' Jg';
Jg=input('Input # group','s'); Pn=input('Pn='); Un=input('Un=');
In=input('In='); Nn=input('Nn='); % Pn=5.4; Un=220; In=27;
Nn=1000; Wn=pi*Nn/30; Id=In; lu=.6*In; lr=.8*In; Rn=Un/In;
En=Pn*1000/Un/In; R0=.5*(1-En)*Rn; W0=2*Wn/(1+En);
C=Un/W0; Mn=C*In; Md=C*Id; Mu=C*lu; Mr=C*lr; bs=C^2/R0;
br=bs; Ru=2*Rn; bu=C^2/Ru; Rd=.75*Rn; bd=C^2/Rd;
Wr=W0+Mr/br; Wd=Md/bd; Wu=W0-Mu/bu; M=-Mr:.01:0;
Wrr=W0-M/bs; plot(M,Wrr,'r--','LineWidth',2.5); hold on,
M=0:.01:Mn; Wss=W0-M/bs;
plot(M,Wss,'k--','LineWidth',2.5); hold on, M=0:-.01:-Md;
Wdd=-M/bd;
plot(M,Wdd,'b','LineWidth',2.5); hold on, M=0:.01:Mu; Wuu=W0-
M/bu; plot(M,Wuu,'g','LineWidth',2.5); grid;
```

```

legend('Wr=W0+Mr/bs','Ws=W0-Mn/bs','Wd=-Md/bd','Wu=W0-
Mu/bu',-1);
text(.025*Mn,.03*W0,'0','FontSize',12);
text(.01,1.05*W0,['W0=',num2str(W0,'%9.2f')],'FontSize',10);
text(.4*Mn,.95*Wn,['Wn=',num2str(Wn,'%9.2f')'],'FontSize',10);
Mn=',num2str(Mn,'%9.2f')','FontSize',10);
text(-Mr,.95*Wr,['Wr=',num2str(Wr,'%9.2f')'],'FontSize',10);
Mr=',num2str(Mr,'%9.2f')','FontSize',10);
text(-Md,1.1*Wd,['Wd=',num2str(Wd,'%9.2f')'],'FontSize',10);
Md=',num2str(Md,'%9.2f')','FontSize',10);
text(Mu/2,.9*Wu,['Wu=',num2str(Wu,'%9.2f')'],'FontSize',10);
Mu=',num2str(Mu,'%9.2f')','FontSize',10);
ylabel('W','FontSize',12); xlabel('M','FontSize',12);
title([Gv, sname, Jg, '=amocana #2= ', date],'FontSize',12);

```



ამოცანა №2

### ამოცანა №3

გამოვთვალოთ ცვლადი დენის ფაზურ-როტორიანი ძრავას ბუნებრივი და ხელოვნური მექანიკური მახასიათებლები, რომლებიც შეესაბამება:

ა) როტორის წრედის ჯამურ წინაღობას -  $R_R = 0.025 \cdot R_{2n}$  ;

